საქართველო
მოკლე ვერსია

ბიოლოგიური ჩართულობის ერთობლივი პროგრამა (CBEP)

თანამშრომლობა აშშ თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსთან (DTRA)

გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ქოლგის ქვეშ შეიქმნა ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების პროგრამები, რომლებსაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თავიდან უნდა აეცილებინათ ბიოლოგიური იარაღის შექმნა საშიში პათოგენებისა და ტექნოლოგიების, მათთან მუშაობის გამოცდილების გაუვრცელებლობისთვის ხელშეწყობის გზით. ერთ-ერთ ასეთ პროგრამას, რომელიც შეიქმნა 1991 წ. ნან-ლუგარის აქტის საფუძველზე (სახელწოდება უკავშირდება აქტის ავტორებს - ამერიკელ სენატორებს: სემ ნანს და რიჩარდ ლუგარს) - ეწოდა ბიოლოგიური ჩართულობის ერთობლივი პროგრამა (CBEP). მისი მიზანი იყო გლობალური უსაფრთხოების დაცვა, კერძოდ კი ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების სფეროში ბიოდაცვისა და ბიოუსაფრთხოების გაძლიერება და დაავადებებზე კონტროლი.

წლების შემდეგ აღნიშნულმა პროგრამამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო და საშინაო უსაფრთხოების კუთხით. ყოფილი საბჭოთა კავშირის პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შედეგად:

- მოხდა განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური კულტურების კონსოლიდაცია და მათი უსაფრთხოდ განთავსება ცენტრალურ რეფერალურ ლაბორატორიებსა და საცავებში;
- გაუმჯობესდა ბიოლოგიური დაწესებულებების დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები;
- გაძლიერდა პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობები ბიოტერორიზმისგან დაცვის და პოტენციური ეპიდემიების დროული გამოვლენისა და მათზე რეაგირების კუთხით;
- ბიოლოგიურ იარაღთან მუშაობის გამოცდილების მქონე მეცნიერები ჩაერთვნენ კვლევებში სამედიცინო დიაგნოსტიკის, მოდელირებისა და კონტრღონისძიებების მხადასაჭერად;

თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო (DTRA) აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ოფიციალურ მისიას წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღთან (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური, ბურთვული და ასაფეთქებლები) ბრძოლა. DTRA-ს მთავარი ფუნქციაა: საფრთხეების შემცირება, კონტროლი, მათთან ბრძოლის მხარდაჭერა და ტექნოლოგიების განვითარება.

საქართველოში DTRA-ს მოქმედების არეალს განაპირობებს აშშ-ს საელჩოს რამდენიმე სტრატეგიული ამოცანა: ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა, მშვიდობისა და უსაფრთხოების ზომები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ბიოდაცვისა და ბიოუსაფრთხოების ხელშეწყობა; საშიშ ინფექციებზე სწრაფად გამოვლენისა და რეაგირების გაუმჯობესება; ბიომედიცინაში სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და საერთაშორისო კვლევითი პარტნიორობის განვითარება. DTRA ბიოლოგიური ჩართულობის ერთობლივი პროგრამის საშუალებით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სამთავრობო უწყებებთან, როგორიც არის: